# სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
# აკადემიური საბჭო
# დადგენილება №01-05-04/123

ქ. თბილისი                                                                                29 მაისი 2018

**დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციაში ცვლილების შეტანის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლისა და აკადემიური საბჭოს 2018 წლის 29 მაისის №01-05-02/10 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. შევიდეს ცვლილება დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციაში, კერძოდ: 1. დისერტაციის გაფორმება 1.1. ზოგადი დებულებანი იკითხებოდეს შემდეგი რედაქციით:

   - **შრიფტი:** ტექსტის ძირითადი ნაწილი უნდა შესრულდეს რომელიმე სტანდარტული შრიფტით (Sylfaen, AcadNusx, AcadMtav, Litnusx, Literaturuli_BJG_2000). ამ ეტაპზე უპირატესობა ენიჭება Sylfaen-ს, შრიფტის ზომა – 12. თავებისა და ქვეთავების დასახელებაში შეიძლება გამოყენებულ იქნეს უფრო დიდი ზომის შრიფტი. შემჭიდროებული ტიპის შრიფტები არ მიიღება. ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ ან მსგავსი ხარისხის პრინტერზე;

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №6).

**აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე** — **ა. ფრანგიშვილი**

**აკადემიური საბჭოს მდივანი** — **გ. სალუქვაძე**